დანართი №2

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედუღება" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 9 დეკემბრის № MES 5 25 0001758868 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2025 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ქობულეთი, რუსთაველის No154).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.2 ინდიკატორთან მიმართებაში დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაცია:

«სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-04/222 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 27 მაისი, №01-04/105) დამტკიცებულ დოკუმენტში — „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, V თავში („მტკიცებულებების ვერიფიკაცია“) აღწერილია როგორც ვალიდაციის, ისე ვერიფიკაციის პროცესები. ამასთანავე, ვალიდაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი რეგულირდება აგრეთვე სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებული რეგულირება უზრუნველყოფს პროცესების განხორციელებას, თუმცა ვალიდაციისა პროცესის ორ მარეგულირებელ დოკუმენტში პარალელურად გაწერის დამატებითი საჭიროება არ იკვეთება. ამდენად, პროცესების კონცენტრირება ცალკეულ მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო ეფექტიანი და მკაფიო იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ვალიდაციის პროცესის რეგულირება მხოლოდ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის — „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“, რაც უზრუნველყოფს პროცესების მკაფიო გამიჯვნას, მარეგულირებელი დოკუმენტების თანხვედრასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას».

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება - Welding

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში - Secondary Vocational Qualification in Welding
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	10/10/2025 N 01-04/204
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის №01-04/112 ბრძანებით; ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით), რომლის შესაბამისად შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“.

მითითებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების საფუძველზე, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კოლეჯის წესდებისა და წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 14 ნოემბერს გამოცემული №01-04/202 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ პაკეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისთვის გადაგზავნილი იქნა ხარისხის მართვის მენეჯერისთვის, ხოლო შემდგომ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

დაწესებულებას შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის უფლება მიენიჭა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 31 იანვრის №MES 3 25 0000087312 წერილის საფუძველზე.

დაწესებულების მისიაა: სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“, პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისა და თავსებადობის უზრუნველყოფით, მრავალპროფილური პროფესიული განათლების განხორციელების გზით, შეიტანოს წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით. ამასთან, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების მხარდაჭერითა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის დანერგვით, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატება ემსახურება აჭარის რეგიონში შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შესაბამისი პროფესიული კომპეტენციებისა და უნარების მქონე კადრებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც ეფუძნება „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი – 2024“-ს. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევები ადასტურებს შედუღების სპეციალობასთან დაკავშირებულ უნარებსა და კომპეტენციებზე მაღალ მოთხოვნას, რაც ძირითადად განპირობებულია სამშენებლო, ინდუსტრიული წარმოებისა და მანქანათმშენებლობის სექტორების განვითარებით. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023–2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის თანახმად რეგიონში დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ შემდუღებლებზე.

პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს პროგრამის დასრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდგომ. საგანმანათლებლო დაწესებულება წარსულში ახორციელებდა III საფეხურის პროფესიულ პროგრამას „შედუღება“. აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტის მოდიფიკაციის საფუძველზე შეიქმნა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „შედუღება“ (მეოთხე დონე), რომლის შესაბამისადაც შემუშავდა წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და პროფესიული განათლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მოთხოვნებთან.

კოლეჯში მოქმედი ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულფასოვან ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის: პროგრამის დაგეგმვისა და მართვის, პროცესების კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სტუდენტებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო და დამხმარე სერვისების მიწოდების მიმართულებით.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას-შეფასდა შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 10 ოქტომრის ბრძანებით MES 9 25 001-04/204) მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 20 მაისის №01-04/94 ბრძანება), **მუხლი 3**. აღნიშნული მექანიზმების შესაბამისად, პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას-შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2022 წლის 14 იანვრის N01 04/06 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

1. სასწავლო გარემო:

ა) A სასწავლო გარემოში სტუდენტთა სამუშაო ადგილის გათვალისწინებით;
ბ) B სასწავლო გარემო სტუდენტთა სამუშაო ადგილის გათვალისწინებით ;
გ) C სასწავლო გარემო სტუდენტთა სამუშაო ადგილის გათვალისწინებით;

2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა:

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. დოკუმენტის თანახმად ორცვლიანი სწავლების პირობებში პროგრამის რესურსი შესაბაისია მოთხოვნილი კვოტის 30 პროფესიულ სტუდენტისთვის.

კერძოდ:
1. ერთი A გარემო (15 პროფესიულ სტუდენტზე);
2. ერთი B გარემო (15 პროფესიულ სტუდენტზე)
3. ერთი C გარემო (15 პროფესიულ სტუდენტზე)
4. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა-14.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით-შეფასდა შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია კომპიუტერებით, ინტერნეტითა და საპრეზენტაციო მოწყობილობებით. პრაქტიკული სამუშაოები ტარდება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად C სასწავლო გარემოში, კოლეჯის ბაზაზე. სასწავლო პროცესს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე პერსონალი.

მოდულების ათვისებისთვის საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია A და B სასწავლო გარემოში განთავსებულ მასწავლებლის კომპიუტერებში, აგრეთვე კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ამასთან, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სასწავლო რესურსების ბეჭდური ვერსიებიც.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსების ერთობლიობა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას-შეფასდა შესაბამისად,.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ მოიცავს არჩევით მოდულს - „ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა“. ის ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან-შეფასდა შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N01-04/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია 10/10/2025 წლის N 01-04/204 ბრძანებით, დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ-შეფასდა შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მისი შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- მეწარმეობა
- სამოქალაქო განათლება
- ინფორმაციული წიგნიერება
- უცხოური ენა
- შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
- ხელით ელექტრორკალური შედუღება
- ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
- არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
- შედუღების მასალები
- ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
- ლეგირებული ფოლადების შედუღება
- ფერადი ლითონების შედუღება
- ტექნიკური ნახაზების შესრულება
- კონსტრუქციების შედუღება
- ლითონების თერმული დამუშავება
- პლასტმასის შედუღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადება
- შედუღების ტექნოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფა შენადუღ შეერთებაში
- ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ ცოდნასა და კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შინაარსობრივად გამართლებულია, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი-შეფასდა შესაბამისად.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას და ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს – „შედუღება“ (Welding).

პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები და მათი დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, აგრეთვე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების მომზადება პროგრამის ქართულ ენაზე გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული კატეგორიის პირებისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები. ამასთან, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და არსებული რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

9. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;

- კოლეჯის 2019-2025 წლის სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №01-04/202 პორფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2025წლის 9 ოქტომბრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 10 ოქტომრის ბრძანებით MES 9 25 001-04/204 პროფესიული პროგრამის „შედუღება“ დამტკიცების შესახებ;
- 2022 წლის 14 იანვრის N01 04/06 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- პროფესიულ პროგრამაზე „შედუღება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანება);
- განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 31 იანვრის წერილი MES 3 25 0000087312;
- დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

"შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული A და B ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი (15 სტუდენტი) სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და შესაბამისი C გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით-შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში **13 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, მათ შორის:

- **11 პროფესიული განათლების მასწავლებელი** ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- **2 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებაზე.

მასწავლებელთა აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და ქმნის შესაძლებლობას, პროფესიულ სტუდენტებს სრულფასოვნად განუვითარდეთ როგორც ზოგადი კომპეტენციები, ისე პროგრამისთვის სპეციფიკური პროფესიული უნარები.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების მიხედვით კოლეჯს ჰყავს თითოეულ მოდულზე **ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის სრულფასოვან ჩანაცვლებას უზრუნველყოფენ. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას;
- შესაძლო რისკების მინიმიზაციას;
- მოდულების დროულ და ხარისხიან შესრულებას.

მასწავლებელთა დატვირთვა

პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის დაგეგმვისას გათვალისწინებულია, რომ მასწავლებლები საკონტაქტო საათების გარდა ჩართულნი არიან სხვა პროფესიულ საქმიანობებშიც, მათ შორის: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და ვალიდაცია/ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროფესიული განვითარება, ასევე მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ორცვლიანი სწავლების პირობებში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების დატვირთვა შეადგენს **კვირაში 30–32 საათს**, რაც შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს;
- საერთო სამუშაო დატვირთვა კვირაში არ აღემატება 32 საათს;
- დატვირთვის განაწილება არის ოპტიმალური და არ ქმნის გადატვირთვის ან სასწავლო პროცესის შეფერხების რისკს.

პროგრამას თან ერთვის განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს;
- მათი პროფესიული გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება არის საკმარისი, რეალისტური და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას-შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №01-04/125 ბრძანებით დამტკიცებული, ხოლო 2023 წლის 14 ივნისის №01-04/125 ბრძანებით ცვლილება შეტანილი „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს კანდიდატის კვალიფიკაციას, შრომით გამოცდილებას, კომპეტენციებსა და მათ შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან.

პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თითოეულ მათგანს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. ამასთან, წარმოდგენილია კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია-შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 6 ნოემბრის №01-04/226 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, მასში ცვლილებების შეტანასა და სასწავლო გეგმის შედგენაში. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის დამტკიცებულ გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების შეთანხმება დამტკიცებულ სასწავლო გეგმასთან; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, გააჩნია დადასტურებული კვალიფიკაცია და შესაბამის სფეროში პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად ახორციელებს დარგობრივ მოდულებსაც, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციას, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის ფუნქციათა გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს და უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სასწავლო პროცესის ერთიან, კოორდინირებულ და ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი-შეფასდა შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის №01-04/115 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“ და სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2021 წლის 21 მაისის №01-04/68 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა კოლეჯის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა სანდოდ და მოქმედ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მყოფად.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში. ასევე, მოდულებში საგანმანათლებლო რესურსის სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენების მიზნით, კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ წვდომა განახლებულ საკანონმდებლო აქტებზე, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს — სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა (matsne.gov.ge), რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებული სასწავლო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში-შეფასდა შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის IX თავი — *ინკლუზიური განათლება* (მუხლი 45) — განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

აღნიშნული მექანიზმები ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფას, სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას, ინკლუზიური განათლების დანერგვას, სსსმ პირების ჩარიცხვის პირობებსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესს.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებთან შესაბამისად. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სსსმ სტუდენტებისთვის სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო გარემო, მათ შორის: შენობის მთავარ შესასვლელში მოწყობილი პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილი.

სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის — ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების გზით. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყოლია შშმ ან სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. ამასთან, კოლეჯში დასაქმებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის სპეციალისტი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად- შეფასდა შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია **გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **მდგრადი განხორციელება**. სასწავლო პროცესი ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, ვაუჩერული წესით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ ავტონომიასა და ხელმისაწვდომობას.

ბიუჯეტის სტრუქტურა მოიცავს შემოსავლების და ხარჯების ნაწილებს. პროგრამისთვის **რენტაბელობის ზღვარი** განსაზღვრულია მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტისგან მიღებული შემოსავლით. ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურება, პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ნედლეული და მასალა, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ექსპერტთა დასკვნა: ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, ეფექტურად ახდენს რესურსების განაწილებას და სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- დანართი 2 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის №01-04/125 ბრძანებით დამტკიცებული, ხოლო 2023 წლის 14 ივნისის №01-04/125 ბრძანებით ცვლილება შეტანილი „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“.
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 6 ნოემბრის №01-04/226 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“
- სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2021 წლის 21 მაისის N01-04/68 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მუხლს 7 — *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება“*.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
- სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
- მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ნედლეულის და მასალის საკმარისობისა და ავთენტურობის შეფასება;
- ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება.

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/105 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების სისტემურ შეფასებას, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას, მათ გამოსასწორებლად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას, განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას და კვლავ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული PDCA მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს:

- **PLAN (დაგეგმე)** — მიზნისა და მისაღწევი პროცესების განსაზღვრა;
- **DO (განახორციელე)** — განსაზღვრული პროცესის (ღონისძიებების) განხორციელება;
- **CHECK (შეამოწმე)** — მიმდინარე პროცესისა და მიღებული შედეგების მონიტორინგი, მიღწეული შედეგების შესაბამისობის შეფასება დასახულ მიზანთან;
- **ACT (იმოქმედე/განავითარე)** — პროცესის მუდმივი სრულყოფა და საჭირო ცვლილებების განხორციელება.

„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ ასევე ითვალისწინებს გამოკითხვებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კითხვარის ფორმები პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და კურსდამთავრებულებისათვის.

გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან/სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ხარვეზების აღმოფხვრის გზების შესახებ პროგრამების განვითარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ-შეფსდა შესაბამისად.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს პროგრამების შეფასებას და განვითარებას. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/105 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.
- გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები.
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

სასწავლო გეგმის საფუძველზე კოლეჯი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაციის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამუშაო საათების სწორად გადანაწილების,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერის.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად-შეფასდა შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პრაქტიკა, ხოლო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაში განხორციელებულია საჭირო ცვლილებები. სტუდენტების აკადემიური წინსვლის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების ჩატარება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე-შეფასდა შესაბამისად.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციური ანალიზი, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითარონ. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე შედუღების აპარატები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას-შეფასდა შესაბამისად.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“, განსაზღვრულია მუხლი 12 — *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.* აღნიშნული მუხლი მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებასა და პროცესში ჩართულ პირებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში:
ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის);
ბ)პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში (საჭიროებისამებრ);
გ)სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ);
დ) მოდიფიცირებულ ან ოპტიმიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას;
ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სასწავლო პროცესის მენეჯერის კოორდინირებით, შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები-შეფასდა შესაბამისად.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ოქტომბერს გამოცემული ბრძანება №01-04/208-ით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის გაცნობა ხდება ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო დოკუმენტი განთავსებულია აუდიტორიაში თვალსაჩინო ადგილზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება №01-04/20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია თავი VI – „შეფასების სისტემა“, მუხლი 21 – „პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა“. აღნიშნული მუხლით რეგულირდება შეფასების ინსტრუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესი. მოცემული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი შეფასება იყოს სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი.

კერძოდ, შეფასების პროცესამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის კოორდინატორს წარუდგენს მის მიერ შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს მის ვალიდაციას. ამ პროცესში სასწავლო პროცესის კოორდინატორი პასუხისმგებელია შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებაზე, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი – შინაარსობრივ შესაბამისობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ინსტრუმენტის ავტორია პროგრამის ხელმძღვანელი, ვალიდაციას ახორციელებენ სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი. გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს შესაბამისი რეკომენდაციებით, შენიშვნებით ან მითითებებით, ხოლო მასწავლებელი ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს ინსტრუმენტი შესწორებული სახით.

შეთანხმებული და ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი წარწერით – „ვალიდურია“ – გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შეფასების მიზნით.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური-შეფასდა შესაბამისად.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/105 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ – მოიცავს მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის განხორციელების ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია შესაბამისი ვერიფიკაციის ფორმები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს-შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მიხედვით მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით-შეფასდა შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ რეგულირდება პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების გაცნობა და შემდგომი რეგირება. კერძოდ, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან/სასწავლო პროცესის კოორდინატორისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება — 2025 წლის 26 აგვისტო, №01-04/168) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- დირექტორის 2025 წლის 27 მაისის №01-04/105 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“
- ვერიფიკაციის ფორმები;
- ინტერვიურება;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

20.01.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: